

UDC 72

SCOPUS CODE 1213

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-3-38-54>

ბოლო ათწლეულის კერძო ვილები ამერიკაში: ნანატრი ალტერნატივა?

ნიკოლოზ შავიშვილი დიზაინის საერთაშორისო სკოლა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75

E-mail: n.shavishvili@gtu.ge

თამარ ჩუბინიძე არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ა

E-mail: chubinidzetam13@gmail.com

რეცენზენტები:

გ. მიქიაშვილი, დიზაინის საერთაშორისო სკოლის პროფესორი

E-mail: g.mikiashvili@gtu.ge

მ. მაისურაძე, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: marina_maisuradze@gmail.com

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების, ძირითადად მისი ცენტრალური რეგიონების კერძო ვილების არქიტექტურული პროექტები, რომლებიც, ავტორთა აზრით, უქმნიან ნანატრ ალტერნატივას აშშ-ის კომერციულ ხუროთმოძღვრებას, რომელიც კრიზისის ვითარებაშია მასზე განხორციელებული კორპორატიული ზეწოლის გამო. ავტორებმა შეისწავლეს 7 წამყვან ამერიკულ სპეციალიზებულ ჟურნალში 2011–2020 წლებში გამოქვეყნებული პროექტები, რომელთაგან ბევრი, მათ მიერვე შერჩეული კრიტერიუმებით, საყურადღებო გახდა თავიანთი მზარდი, საინტერესო ტენდენციებით.

სტატიის ავტორებს არ დაუსახავთ მიზნად შეგროვილი მასალების სრულყოფილი კლასიფიკაცია, თუმცა შემოგვთავაზეს გარკვეული ტიპოლოგიური ნიშნები ვილების დაჯგუფებისთვის. გასული ათწლეულის თითქმის ყველა კერძო სახლი ტყის ან მთის, წყლისპირის ან კიდეც სხვა ბუნებრივ გარემოსთანაა დაკავშირებული, დაძლეული აქვს გარემოსადმი გაუცხოების ადრეულ-მოდერნისტული პრობლემა და იმავდროულად საკუთარი დამოუკიდებლობით ამ გარემოს შემავსებლობადაც კი იქცევა. ხშირად გამოყენებულია როგორც ბუნებრივი, ისე მაღალტექნოლოგიური სამშენებლო ხერხები და მასალები, მიმდინარე ეტაპისთვის დამახასიათებელი ლაკონური და არახმამაღალი განაცხადები, ასევე

არაა იშვიათი არაპროგნოზირებადი მომხმარებლების სურვილების დაკმაყოფილების მაგალითები, ხშირია მდგრადი სახლის შექმნის წარმატებული მცდელობები და ბუნებრივ კლიმატურ პირობებს დაქვემდებარებული გადაწყვეტები. ამ ყველაფრით ამერიკის კერძო ვილებში ქალაქების კომერციული არქიტექტურის ნანატრი ალტერნატივის ტენდენციები მკაფიოდ იკვეთება.

საკვანძო სიტყვები: ალტერნატივა; არაერთგვაროვნება; დინამიკა; მოდერნიზმი; ტენდენცია; ქალაქგარე ვილა.

შესავალი

ამ სტატიის ერთ-ერთი ავტორი დიდი ხნის განმავლობაში აკრიტიკებდა ამერიკული არქიტექტურის ამჟამინდელ მდგომარეობას (მისი პოზიცია არაერთხელ გაჟღერებულა თსუ-ის ამერიკული კვლევების ინსტიტუტის ყოველწლიურ კონფერენციებზე) და დღემდე ინარჩუნებს იმ მოსაზრებას, რომ მის მიერ ადრე განხილულ პროექტებში იკითხება დიდი კორპორაციების ზეწოლა და ორიგინალური გადაწყვეტილებების არარსებობა. თუ მათ შევადარებთ ევროპაში დამკვიდრებულ მრავალფეროვან არქიტექტურას, ამერიკელი არქიტექტორები არ გამოიყურებიან კონკურენტუნარიანად. მაგრამ როგორც კი ვშორდებით დიდ ამერიკულ ქალაქებს ან მათ გარეუბნებს, ჩვენი აღქმა იცვლება და სურათი უფრო საიმედო ხდება. ამ სტატიის ავტორები თვლიან, რომ ქვემოთ მოყვანილი მასალა ბოლო ათწლეულის ამერიკულ კერძო ვილებზე, რომლებიც კვლევის საგანი იყო, ქმნის კომერციული ამერიკული ხუროთმოძღვ-

რების დიდი ხნის ნანატრ ალტერნატივას, რაც განსაკუთრებით თვალნათლივ გამოიკვეთა ქვეყნის ცენტრალურ რეგიონებში.

ძირითადი ნაწილი

ჩვენ შევისწავლეთ 7 წამყვან ამერიკულ ჟურნალში, როგორებიცაა Architectural Record (AR), Architect (A), Dwell (D), Architectural Digest (AD), Oculus (O), Chicago Architect (CA) და Gray (G), 2011–2020 წლებში გამოქვეყნებული მასალები და დასკვნებს ვასაბუთებთ ანალიზით 240-ზე მეტი განხილული პროექტისა, რომლებიც ამერიკელი არქიტექტორების მიერ გასული ათწლეულის განმავლობაში შესრულდა. კვლევაში მოხვდა ქალაქგარე ვილები, გარეუბნების და ქალაქების საცხოვრებელი სახლები ერთი ოჯახისათვის, აგრეთვე ამერიკაში აგებული რამდენიმე კოლექტიური საცხოვრებელი ბლოკი. ჩვენი ამოცანა არ ყოფილა შეერთებული შტატების კერძო საცხოვრისის ყოვლისმომცველი კლასიფიკაცია ლიტერატურაში გამოყენებული მრავალრიცხოვანი სტილისტური, ფუნქციური ან ტიპოლოგიური კრიტერიუმების საფუძველზე (Krampen, 1979; Frampton, 1992; Collins, 2004). ჩვენ აგრეთვე არ გვიცდია შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება წარმოდგენილი ნიმუშების უპირატესობაზე ან თანამედროვე საცხოვრისის განვითარების ტენდენციების თაობაზე. ჩვენ უბრალოდ შევეცადეთ გაგვეზიარებინა ჩვენი მოსაზრება ზოგიერთი იმ პროექტის თაობაზე, რომლებიც, ამ კვლევის ავტორთა შეხედულებით, განსაკუთრებით გამორჩეული იყო, ან უბრალოდ ჩავთვალეთ აღნიშვნის ღირსად, ან სინამდვილეში იმსახურებდა კრიტიკულ შეფასებას, თუმცა მაინც მივიჩნიეთ განხილვის საგნად,

რადგან ყველა მათგანი მცირე ზომის პროექტების მზარდი ტენდენციის დადებითი დინამიკის მაჩვენებელია, განსხვავებით დიდი კორპორატიული შოუ-პროექტებისაგან, რომლებიც ცნობილმა არქიტექტორებმა აშშ-ის ურბანიზმის წინა პლანზე წამოწიეს, ხშირად სრულიად დაუმსახურებლად.

ზუსტ კლასიფიკაციაზე ან ტენდენციების გამოვლენაზე უარის თქმა არ ნიშნავს, რომ განხილულ პროექტებში ჩვენ ვერ შევამჩნიეთ არაერთი საერთო მახასიათებელი. ისინი შემდგომში შეიძლება გამოდგეს ტიპოლოგიის გამოკვეთის ამოცანისთვის, რაც მომავალში დაგვეხმარება დავინახოთ ამა თუ იმ ტენდენციის ჩამოყალიბების საფუძვლები. სინამდვილეში, ჩვენ შევამჩნიეთ ეს მახასიათებლები და ობიექტები ამის შესაბამისად დავაჯგუფეთ.

პირველი და მეტად მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც გამოვყავით, ყველაზე მრავალრიცხოვანია: ზემოხსენებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული თითქმის ყველა ამერიკელი არქიტექტორი, რომელმაც გასულ ათწლეულს კერძო სახლი დააპროექტა, ცდილობდა საკუთარი ნამუშევრები ტყის ან მთის, შორეულ უდაბნოს ან ზღვისპირის ბუნებრივ ან ქალაქის, გარეუბნებისა თუ ქალაქგარე გარემოსთან დაეკავშირებინა. ეს კურსი იმედის მომცემია: ავტორთა მიერ აქ გამოყენებული ლექსიკა უკომპრომისოდ თანამედროვეა და ქებას იმსახურებს მათი მცდელობები, დაარღვიონ ფართოდ გავრცელებული რწმენა, რომ მოდერნიზმი გარემოსთან შეუთავსებელია. განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ შენობების მიერ დამყარებული კავშირი არ არის ბუნებრივი პირობების პრიმიტიული იმიტაცია ან ურბანული გარემოს ზედაპირული ინტერპრეტაცია, არამედ დემონსტრირებაა რთული და ავტონო-

მიური არტეფაქტისა, რომელსაც ესმის და არ ეშინია საკუთარი ადგილმდებარეობის, მზადაა წვლილი შეიტანოს მის გაკეთილშობილებაში და რომ ახალი ობიექტი მხოლოდ ავსებს და არ ვნებს გარემოს.

კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ბევრ სხვა, მ.შ. პირველი ჯგუფის ობიექტების უმეტესობას მოიცავს, არის ვილები, სადაც სამშენებლო ინდუსტრიის უახლეს მიღწევებს იყენებენ. დიდი შემინული ზედაპირები და ლითონის თხელი სვეტები ხელს უწყობს მნახველს, შეიგრძნოს გამჭვირვალობა, ჰაეროვნება, სიმსუბუქე, ეზიაროს ელეგანტურობას, გრაციოზულობას, დელიკატურობას და აღმოფხვრას დახურულობის, შეუვალობისა და სიმძიმის შთაბეჭდილება, რომელსაც ამ კვლევაში მოხვედრილი ზოგიერთი სხვა პროექტი ტოვებს.

უცნაურია, რომ ამ მეორე, „ჰაეროვანი“ ჯგუფის მრავალი ობიექტი შესაძლოა მივაკუთვნოთ მესამე ჯგუფსაც, რომელიც იყენებს ბუნებრივ მასალებს – პირველ რიგში ხეს, შედარებით იშვიათად – ქვას და კიდევ უფრო ნაკლებად – აგურს ან დაპრესილ მიწას. ჩვენ მიერ შესწავლილი ვილების ანალიზი აშკარად ცხადყოფს, რომ მინა და ლითონი, პარადოქსულად, არ შედის წინააღმდეგობაში ხესა და ქვასთან, რადგან ისინი სახლის სხვადასხვა სიბრტყეში გვხვდება და ალდო ვან ეიკისეული „წყვილი ფენომენის“ მსგავსად, რაც გულისხმობს ბინარულ დაპირისპირებებს „შეესებულსა“ და „ცარიელს“, „ღიას და დახურულს“, „მაღალსა“ და „დაბალს“, „პატარასა“ და „დიდს“, „პრიალასა“ და „გლუვს“ შორის და სხვა ოპოზიციებს (Strauven, 1998), ამერიკულ ვილებში შეგნებულად გამოყენებული კონტრასტი „ხელოვნურსა“ და „ბუნებრივს“ შორის ხელს უწყობს ზუსტი კომპოზიციური ბალანსის მიღწევას.

რაც შეეხება ბუნებრივ მასალებს, ჩვენ ასევე შევნიშნეთ შედარებით ბოლო დროს იმპორტირებული იაპონური ტექნოლოგია – ხის წინასწარი გამოწვა, მშენებლობაში გამოყენებამდე, ხანძრისგან, მწერებისგან და ხანდაზმულობისაგან თავის დასაცავად – პროცესი სახელწოდებით shou sugi ban. მეთოდი პოპულარული გახდა და ის ბევრ ნაგებობაში, სადაც ხის მოპირკეთებაა, გამოიყენეს; ზოგ მათგანს ჩვენ ქვემოთ შემოგთავაზებთ.

კიდევ ერთი სტრატეგია (შედარებით ნაკლებად მიღებული ევროპაში), რომელიც თამამად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტილის ბრტყელი სახურავის პარადიგმას, ქანობიანი სახურავის ხელახალი დანერგვაა. რა უცნაურიც უნდა იყოს, ამ ნაბიჯს აქ არ მივყავართ მოდერნისტული პროექტის არქაიზაციამდე: დახრილი სახურავი, ჩვეულებრივ, იმ შენობის თავზეა, რომელიც ინტეგრირებულია გარემოსთან და რომელშიც მინა და ლითონი ხესა და ქვასთან კონტრასტში გამოიყენება და სრულყოფილად ავსებს ისედაც რთულ სურათს, რაც შედეგად იძენს სისრულის ხარისხს, ფაქტურულ სიჭარბეს, მატერიალურ სიუხვეს და ადვილად ამოსაკითხ კომპლექსურობას – ანუ ყველა იმ თვისებას, რომელსაც ჩვეულებრივ მივაწერთ პოსტმოდერნისტულ პირობას; ამ მაგალითების ხილვა შეგვიძლია ნიუ მექსიკოს უდაბნოში ან ტეხასის შტატის მიტოვებულ ინდუსტრიულ უბნებში.

ბოლო ათწლეულის კერძო ამერიკული ვილების ზოგადი მახასიათებლების ჩამონათვალს დავუმატოთ შედარებით მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც

საგულისხმო რაოდენობებში გამოვლენილი კიდევ ერთი ტრადიცია (ამჯერად წარმოშობით ამერიკული), რომელიც დაბრუნდა – ხის მორების „ქოხი“ (log cabin). ამ გზით ხდება პირველი თაობის ემიგრანტთა საცხოვრისის ტიპის ერთგვარი აღორძინება. თანამედროვე ამერიკელი არქიტექტორების ხელში იგი უფრო მეტაფორულია და არა პირდაპირი. აქ კვლავ გვხვდება მცირე ზომა, იაფი მასალა, მარტივი ფორმები, მინიმალური სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ ეს მშვიდი ინსტალაციები ტყეში, დღეს სინამდვილეში თანამედროვე ენაზე საუბრობენ: მრავალსაუკუნოვანი ცოდნისა და გამოცდილების ათვისების მიუხედავად, ამ შენობების ავტორები არც თანამედროვე მასალებისა და ტექნოლოგიების გამოიყენებას ერიდებიან.

მდგრადი განვითარების პოლიტორექტული ტენდენცია ამერიკის მიწაზე შეთავსებულია ენერგიის დაზოგვის სხვა სტრატეგიებთან. რეციკლირებული მასალები და განახლებადი ენერგიის წყაროები ბოლო ათწლეულის კერძო სახლების სახედ იქცა: ჩვენ მიერ შესწავლილი პროექტების არანაკლებ 10%-ში დადგინდა მდგრადი სახლის შექმნის წარმატებული მცდელობები, მ.შ. არაერთი ინოვაცია, ისეთები როგორიცაა ჟალუზებიანი ეკრანები, რომლებიც ფილტრავს დღის სინათლეს ცხელ რეგიონებში, ბამბუკის იატაკი ტემპერატურაზე კონტროლის დასამყარებლად, გეოთერმული ტუმბოები და ღუმლის სხივური გათბობის სისტემები ან სრულიად ავტონომიური (off-grid¹) საცხოვრებელი ბლოკები ქალაქებს მოშორებულ ადგილებში და მრავალი სხვა. გამოკვლეულ წყაროებში აღმოვაჩინ-

¹ off-grid – შენობა-ნაგებობა, რომელიც მთლიანად მოწყვეტილია ენერგომომარაგების და წყალსადენ-კანალიზაციის არსებულ ქსელებს და დამოუკიდებლად იკვებება განახლებადი რესურსებით.

ნეთ 5 კერძო სახლი, რომლებმაც მიიღეს ეკოლოგიური მშენებლობის ყველაზე მაღალი სერტიფიკატი აშშ-ში – LEED რეიტინგი, რომლის მოპოვება უაღრესად რთულია.

დასასრულ, დავაფიქსირეთ მეტად სპეციფიკური ამერიკული ფენომენი – ე.წ. „შუა საუკუნის ვილების“ მიმართ ხელახალი მიზიდულობის ტენდენცია: 1930–1950-იანი წლების საერთაშორისო სტილის არქიტექტურული ობიექტების (ზოგი მათგანი ძალზე ცნობილი არქიტექტორების მიერაა შექმნილი) მიზიდვის მცდელობა, რომელიც გავრცელდა აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე. მოდერნისტულ ისტორიაზე ამ ნოსტალგიურ გადახრას მეტწილად მხარს უჭერს რეგულარული პუბლიკაციები ჟურნალ Dwell-ში, რომელიც თავის ვებსაიტზე აცხადებს, რომ იგი არის „თანამშრომლობის პლატფორმა არქიტექტორების, დიზაინერებისა და მოყვარულთათვის, მიმართული შუა საუკუნის დიზაინის აღმოჩენასა და გაზიარებაზე“. გასული ათწლეულის განმავლობაში Dwell-მა გამოაქვეყნა მრავალი წერილი შუა საუკუნის ვილების რეკონსტრუქციასა და მათი ახლებურად გამოყენების შესახებ, მ.შ. ისეთ მოდერნისტულ მარგალიტებზე, როგორიცაა **მის ვან დერ როეს** თაუნჰაუსი ლაფაიეტის პარკში, დეტროიტი, მიჩიგანი, 1959 წ.; **საულ ზაიკის** მილფორდის რეზიდენცია პორტლენდში, ორეგონი, 1950 წ.; **არტურ უიტჰოფის** გოდარდ მანდოლენის რეზიდენცია არმონკში, ნიუ-იორკი, 1957 წ.; **ვალტერ გროპიუსის** ჰაგერტის სახლი, მასაჩუსეტ-

სი, 1938 წ.; (ყველა ეს ობიექტი – D, 2015/Design Guide:36-42); **ენდრიუ გელერის** ბოილის რეზიდენცია, ნიუ-იორკი, 1963 წ. (D,2014/Outdoors:138), **ჯოზეფ ეშერიკის** სახლი ბერკლიში, კალიფორნია (D,2012/ Dec:84); **მარსელ ბრეიერის** სნოუერის სახლი, კანზასი, (D,2016/Sep:68) და ა.შ.

ბოლო ათწლეულში ამერიკის შეერთებულ შტატებში ხარისხიანი თანამედროვე ცხოვრების წესის დანერგვის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა კერძო კლიენტებსა და დიზაინერებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. ამის გარეშე ამერიკის გარეუბნები და სოფლები გადატვირთული იქნებოდა წარსული საუკუნეების სტილების უგემოვნო იმიტაციებით, ტიუდორული კოტეჯების ყალბი ასლებით ან უბრალოდ ე.წ. „ახალი ურბანიზმის“² მსხვერპლით – ღრმად ხელოვნური კიტჩის უტოპიური ფილოსოფიის გაუთავებელი რეპროდუქციით. გახშირდა შემთხვევები, როცა კლიენტი ითანხმებს გამოკვეთილად თანამედროვე პროექტს, რომელიც შემოთავაზებულია გამოცდილი არქიტექტორის მიერ და ბოლომდე ენდობა მას. ამ კონტექსტში, შთამაგონებელია **ბელენს ასოშიეიტისა** და დამკვეთის თანამშრომლობის შედეგი Glen Lake City Tower მიჩიგანში (D,2014/Jul:68). ასევე, „თანამედროვე დიზაინი მოულოდნელად სტუმრობს ჯოპლინს, მისურის შტატი. ეს არის არქიტექტორსა და მფლობელს შორის უნიკალური თანამშრომლობის მაგალითი. მაღალი კლასის გამწვანებულ რაიონში... სახლების უმეტესობა ყალბი ჯორჯიანული *მენშენები*³, მაგრამ მათ შორის გამოირჩევა ერთი: მგზავრების... ყურადღებას იპყ-

² New Urbanism – დაგეგმვისა და განვითარების მიდგომა, რომელიც ეფუძნება წარსული საუკუნეებისთვის დამახასიათებელ ქალაქების მშენებლობის ტრადიციებს.

³Mansion – დიდი შთამბეჭდავი რეზიდენცია, იგივე manor house – ცალკე მდგომი საცხოვრებელი სახლი ერთიანად დაგეგმილ განაშენიანებაში.

რობს აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი „მძიმე მეტალის სახლი“, ისინი ხშირად წყვეტენ მოძრაობას და ათვალიერებენ [450 კვ. მეტრიან] ერთსართულიან სტრუქტურას“ (AR,2012/Apr:55). სხვა მაგალითში, **CCY Architects** „სასტუმრო სახლის ფასადში შეიტანა კლიენტის საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები - „შოპენის ნოქტიურნი მი ბემოლ მაჟორი ოპ.9, N.2“ (A,2019/Dec:114). თუმცა უფრო უჩვეულო იყო კლიენტი, „რომელსაც ორ ადამიანზე გათვლილი, თანამედროვე, მყარი პავილიონის მიღება უნდოდა, სადაც კარგად შეიგრძნობოდა გარემო და, ამავე დროს, ლანდშაფტშიც ჩაეწერებოდა“ (G,#37:86); შემდეგ შემთხვევაში კარგად გამოჩნდა, რომ სახლის მესაკუთრეს შეუძლია მაშინაც კი შთააგონოს არქიტექტორი, როცა სთხოვს, რომ მან „ადიქვას ავტოფარები არა როგორც არქიტექტურა, არამედ როგორც შემოქმედებით პროექტი“ (D,2014/Sep:96). ეს უკანასკნელი იმსახურებს უფრო დეტალურ განხილვას: ვაშინგტონის შტატის კუნძულ ვაშონზე დასასვენებელი სახლი ადრე ჩვეულებრივი ავტოსადგომი იყო, რომელიც არქ. **გრეიპენტსმა** აქცია ენერგიულ, მსუბუქ, მოციმციმე კომპოზიციად და მიიღო *სკერცოდ* გარდაქმნის ბრწყინვალე მაგალითი, რომელშიც კლიენტმა იმდენივე სული ჩადო, რამდენიც თავად ავტორმა.

ზოგჯერ მომხმარებელთა სურვილები არაპროგნოზირებადია, როგორც ეს მოხდა იმ შემთხვევაში, როცა **ბარლის უედლიკის** არქიტექტორები იძულებულნი გახდნენ შეექმნათ „ეკლექტიკური ნაზავი, რომელიც გაკეთდა კლიენტის უნიკალური სურვილების დასაკმაყოფილებლად“ (D,2016/Mar:42). არაერთგვაროვანი რეაქცია შეუძლია გამოიწვიოს პროექტმა, რომელიც ქალაქის ისტო-

რიულ ურბანულ რაიონში ვითარდება, როგორც ეს მოხდა ბოსტონში **SAS Design**-ის ტელიორის ქუჩის პროექტში: უნდა გადაკეთებულიყო ძველი სახლი, ამან ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია. „გაჩაღდა დისკუსია მეპატრონეებს, არქიტექტორებს, საზოგადოებასა და მუნიციპალიტეტს შორის, მაგრამ როცა როგორც მეპატრონემ, ასევე კულტურული მემკვიდრეობის კომისიამ განაცხადეს, რომ არ ჰქონიათ განზრახვა დაენგრიათ ძველი სახლის ქუჩის ფასადი“ (AR,2016/April:82), მოინახა წარმატებული გამოსავალი: ახალი სტრუქტურა 1899 წ. სახლის ფასადის უკან გადაიტანეს და შედეგად საოცარი კომბინაცია მიიღეს. არსებული სახლის ფასადი, რომელიც ახლა უკვე ფუნქციონირებს როგორც ერთგვარი ეკრანი, თანამედროვე ინტერიერს ფარავს და იცავს.

ნაკლები წინააღმდეგობები იჩენს თავს მაშინ, როცა დიზაინერი საკუთარ სახლს აგებს. ასეთი ქმედებების ყველაზე მოსალოდნელი შედეგია სისადავე და თავშეკავება, ამიტომ საზოგადოება მათთან კომფორტულად გრძნობს თავს. დაუელ რეზინდენსის მფლობელმა, არქიტექტორმა **ედვარდ ოგოსტამ** კომპანიიდან **ელ დორადო**, გადაწყვიტა კირქვით ნაშენი არსებული მოკრძალებული კოტეჯი შეეკეთებინა და გაეფართოებინა (D,2019/Mar-Apr:104): „სახლი, რომლის უკანა კედელი მინისაა, კალიფორნიაში, კალვერ სიტის საცხოვრებელ უბანშია. 70 წლის ერთსართულიანი ბუნგალო ამჟამად გვთავაზობს ქუჩაზე გამავალ მოწესრიგებულ, განახლებულ ფასადს, თუმცა ელემენტებს, რომელიც მფლობელმა და არქიტექტორმა... დაამატა უკანა მხარეს, ფასადთან კავშირი არ გააჩნია“ (A,2018/December:151). სხვაგან, „წყნარი ოკეანის სანაპირო

გზატკეცილის მიმდებარედ არქიტექტორ-დიზაინერი **სკოტ მიტჩელი** ქმნის ოკეანის ხედვებზე გახსნილ, სუნთქვისშემკრავ ხაზოვან კომპოზიციას” (AD,2014/Jun:143), და ა.შ.

არცთუ ხშირად, მფლობელ-არქიტექტორის ამბიციები შემდეგი სქემით ხორციელდება: **გლიუკ** + ის სახლი-კოშკი ნიუ-იორკის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში „კომპანიის ხელმძღვანელის საკუთრებაშია, იგი მინიმალურ ადგილს იკავებს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს ტყის არეალს... ფარდა-კედლის ფერადი მინა ნიღბავს სახლს და ირეკლავს გარშემორტყმულ ტყეს.“ ამრეკლავი მინით შემოსილი T-ს ფორმის კოშკის აივნების თამამი გადაწყვეტილება კრიტიკოსთა მხრიდან აღფრთოვანებულ რეაქციას იწვევს: „უცნაური და საოცარია. მინის სახლი, რომელიც მეტყვევს სათვალთვალო კოშკს ჰგავს.“ (O,2013/Summer:33).

ექსპერტთა მოსაზრებების სიმრავლემ და სასურველი ინფორმაციის გამოხშირვის აუცილებლობამ შეგვამცირებინა არჩევანი იმ მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც ჰიპოთეზის სახით მივაწერეთ ამა თუ იმ შენობას და შემდეგ მათ შორის გამოვყავით, ჩვენი აზრით, სამაგალითო. ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით, მივედით გარკვეულ ობიექტებამდე, რომლებიც უფრო დეტალურ დაკვირვებას იმსახურებს.

მაგ., **დესაი ჩაიას** მიჩიგანის ტბის სახლი (სურ. 1), გამომწვარი კედრის ხის სახლი ტბაზე ხედით, ყველაზე უფრო ხშირად განხილული ობიექტია გამოკვლეულთა შორის (D,2017/Sep-Oct:112). ერთ-ერთ ჟურნალში მას უწოდებენ „დამაინტრიგებელ სახლს, რომელიც გარკვეული რისკების და გარკვეული ალტაცების შედეგია“ (O,2018/Summer:19).

სახლი კარგად ეთანადება გარემოს, იყენებს იატაკიდან ჭერამდე ფანჯრებსა და კედლებისა და კონსოლების ხით მოპირკეთებას. კონსოლური სახურავი სახლს უქმნის გამორჩეულ ხასიათს და მთავარ ფასადს ორ ნაწილად ყოფს. სხვა ჟურნალი ირწმუნება, რომ სახლს შეუძლია „გაუძლოს მიჩიგანის ცხელ ზაფხულსა და თოვლიან ზამთარს ენერგიების მინიმალური დანაკარგებით“ (A,2017/Oct:203). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სახურავის თავისუფალი ფორმა, რომელიც, თავად ავტორთა აღწერით, „ბუნებრივი ლანდშაფტის მოძრაობას მიჰყვება ახლომდებარე მეთევზეთა სოფლების ხალხური არქიტექტურის გამოძახილის შესაქმნელად“ (www.desaichia.com), მაინც უფრო მეტად მათი შეცდომაა, ვიდრე მიღწევა, რადგან ტერასის თავზე გადაჭიმული 6-მეტრიანი კონსოლი აშკარა კომპოზიციურ დისბალანსს ქმნის მთავარი ფასადის ორ ფრთას შორის.



სურ. 1. დესაი ჩაიას მიჩიგანის ტბის სახლი



სურ. 2. სლუიტ ჰაუსი, გრინსპრინგის ველი, მერილენდი

უმაღლეს შეფასებას ჩვენ მივცემდით **Ziger/Snead Architects**-ის სლეიტ ჰაუსს, გრინსპრინგის ველი, მერილენდი (სურ. 2). იგი ჩამოყალიბდა ფოთლოვანი გარემოს განუყოფელ ნაწილად. სახლმა ჩაანაცვლა ხანძრით გადამწვარი შენობა და მიჰყვა მის ნაკვალევს. ახალი შენობა გამჭვირვალობისა და სიმყარისათვის იყენებს მინას და ხეს და, როგორც ეს ავტორთა ვებგვერდზეა აღნიშნული, „ასევე არქიტექტურულ ფრონტალურ ფორმას, გეომეტრიულ ექსტრუზიას და ისეთ ჭერს, რომელიც ხაზს უსვამს ხეების ვერტიკალურობას“ (www.zigersnead.com). Dwell კი აღნიშნავს, რომ „სახლი და ბაღები შექმნილია როგორც განკურნების, ფიქრისა და მოდუნების მეტაფორა. იგი იწვევს განცდას, რომელიც აკეთილშობილებს ნებისმიერს, ვინც იგი პირველად ნახა“ (D,2018/Jul-Aug:68). სხვა ჟურნალის სტატიაში ნათქვამია, რომ „შავი პალიტრა აქ ხაზგასმულია იაპონური დანახშირების ტექნიკით shou sugi ban-ით ორთავე ფრონტონის მოპირკეთებაში“ (A,2018/Nov:58). ავტორთა მიერ გამოყენებული არქიტექტული ხე და ორქანობიანი სახურავი კიდევ ერთ მეტაფორას ქმნის - შორეულ ტყეში მიტოვებული ხის მოჭრილი მორისა, რომელიც ერთგვარი სიმშვიდის ძლიერ სიმბოლოდ იქცევა.

კიდევ უფრო თავშეკავებულია **Alchemy Architects**-ის სიგელ რეზიდენსი, სანტა როზა, კალიფორნია (სურ. 3). ანაკრები კონსტრუქცია მოიცავს „ვეილანდის ასაწევ სრიალა მინის ჩარჩოებს, რაც უზრუნველყოფს სონომას მთაზე ხედების გახსნას“ (D,2016/Dec:68). არქიტექტურული კომპოზიცია შე-

დგება „ორი მარტივი მართკუთხა დეტალურად დამუშავებული მინიმალისტური ფოლადის კოლოფისგან, რომელიც დამონტაჟებულია ბეტონის საყრდენებზე. სონომას მთაზე პანორამული ხედი იხსნება სრულიად გამჭვირვალე მინის ფასადების მეშვეობით“ (A,2017/Dec:157). როგორც წინა მაგალითში, ამ გადაწყვეტილების სიმარტივე და მოკრძალება გადადის აუღელვებელი მედიტაციის შეგრძნებაში, რომლის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ *arte povera*⁴-ს ძლიერ განაცხადს. ანალოგიურ განწყობას მნახველს უქმნის **Fleetwood Fernandez Architects**-ის ტასლიმის რეზიდენცია სანტა მონიკაში, კალიფორნია (სურ. 4). ისიც დგას ბეტონის პლატფორმაზე და გარედან მოსაპირკეთებლად იყენებს ვერტიკალურ ხის თამასას. ავტორები წერენ: „ჩვენ არ გვსურდა მიგველო მინისა და ბეტონის გლუვი ზედაპირები; ჩვენ გვსურდა ტექსტურა გამოგვევლინებია“ (D,2016/May:68). ჰაერში ატაცებულმა ხის კოლოფებმა ენერგომდგრადობისთვის LEED რეიტინგი დაიმსახურა.



სურ. 3. სიგელ რეზიდენსი, სანტა როზა, კალიფორნია

⁴ *arte povera* (იტალ. „ღარიბი ხელოვნება“) – იაფი, სადა და უბრალო, ხშირად რეციკლირებული მასალების და ფორმების შეგნებული გამოყენება.



სურ. 4. ტასლიმის რეზიდენცია სანტა მონიკა კალიფორნია,

ბოლო ათწლეულში კერძო ვილები საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ძალიან ცოტა არქიტექტორმა შექმნა, რადგან ისინი მსხვილი კორპორატიული დაკვეთებით და საზოგადოებრივი შენობებით არიან დაკავებულნი. მიუხედავად ამისა, ზოგი მათგანი შესწავლილ პუბლიკაციებში მაინც გამოჩნდა. ტექსტურებისა და ქსოვილების ოსტატმა, იაპონური წარმოშობის ჰარვარდის არქიტექტურის ფაკულტეტის მაგისტრატურის ხელმძღვანელმა **ტოშიკო მორი**მ ნიუ-იორკის შტატში, გენტში სახლის (სურ. 5) პროექტზე მუშაობისას დაგეგმა მინის კოლოფები, რომლებიც მთაგონებულია მზით განათებული იაპონური ხის პავილიონებით, და ამით გადაჭრა მდინარე გუდზონის ველის კლდეებზე შენობის განლაგების რთული საკითხი. „ოთხი განცალკევებული და ფუნქციურად განსხვავებული მინის პავილიონი ერთმანეთთან დაკავშირებულია ბეტონის დერეფნებით. მინის არქექტიპული ძირითადი სახლი, სამზარეულო, სტუმრებისა და სავარჯიშო პავილიონები ინარჩუნებს საკუთარ ინდივი-

დუალურ მიდგომებს გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე მასალების გამოყენებით, მაგრამ, ამავე დროს, ტოპოგრაფიაში ერთმანეთს უპირისპირდებიან“ (O,2014/Summer:34). ამ კმნილებაზე Architecture Digest-ის სტატია ამტკიცებს, რომ მისი ფარნზურთან და ჯონსონის მინის სახლთან შედარებით აქ მეტი სივრცეა, „გლუვი ესთეტიკის შენარჩუნებისას“, რის ხარჯზე მივიღეთ „ერთგვარი მოდერნის-ტული ადირონდაკის ბანაკი“⁵ (AD,2016/Jun:144). კაბინების დახურვისას შესაძლებელი გახდა ეკოლოგიური კონტროლის სისტემის დანერგვა, რამაც ასევე გადაჭრა მდგრადობის პრობლემები.



სურ. 5. ტოშიკო მორი, სახლი ნიუ-იორკის შტატში



სურ. 6. რიჩარდ მეიერი, სახლი ცეცხლის კუნძულზე

⁵ ადირონდაკის ბანაკი XIX ს. ბოლოს აგებული საზაფხულო დასასვენებელი სახლების კომპლექსია ტბების პირას ადირონდაკის მთებში, ბრიტანეთის ხელოვნებისა და ხელნაკეთობების მოძრაობისა და შვეიცარიული შალეების არქიტექტურის ზეგავლენით.

რიჩარდ მეიერი მსოფლიო არქიტექტურული სცენის იმ რამდენიმე ოსტატთან ერთ-ერთია, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობს კერძო კლიენტებისთვის, მეტწილად მეგობრების გამო, კერძო ვილების დაპროექტებას. სახლი ცეცხლის კუნძულზე (სურ. 6) დიუნებზე აღმართული ყუთია, გახსნილი ოკეანესა და ყურისკენ. უაღრესად სადა, მეიერისთვის დამახასიათებელი „მინიმალისტური მატერიალური პალიტრით, მინის და თეთრი ხის მოპირკეთებით სახლი ირეკლავს ლანდშაფტსა და ყურის ბუნებრივ სილამაზეს და ფერებს“ (O,2014/Summer:33). იგი დგას ამაღლებულ პლატფორმაზე და აქვს ბრტყელი სახურავი; „ავტორის ორთოგონალური თეთრი ესთეტიკა ამ ახალ ზღვისპირა სახლს მეზობლებისგან მკვეთრად გამოყოფს“ (A,2014/ Aug:114).

ამის საპირისპიროდ, **ფრენკ გერიმ**, რომელიც 2019 წელს 90 წლის გახდა, დიდი ხნის წინ შეაჩერა სახლების დაპროექტება, მაგრამ 44 წლის შემდეგ გამოჩენილმა არქიტექტორმა საკუთარი სახლი სანტა-მონიკაში, დეკონსტრუქტივიზმის ადრეული სიმბოლო, თავად გადააკეთა. არქიტექტურის კრიტიკოს პოლ გოლდბერგერის აზრით, „ეს დამაინტრიგებელი იყო იმიტომ, რომ ის კვლავ საკუთარი თავის კლიენტი იყო“ (სურ. 7). გადაკეთება დაასრულა გერის პარტნიორმა, მისმა ვაჟმა სემმა, რომელმაც „დიდი ვილის მდიდრული დეტალები დააკავშირა ახალთან, მრავალკუთხა წვეტიანი სახურავები, შე-

მინული სათავსები და შიგა სტრუქტურები - მძიმე მორების დიაგონალებთან... სახლი ადირონდაკის თანამედროვე ვერსიას ჰგავს, უფრო დიდი და მდიდრულია, ვიდრე გერის ძველი სახლი, მაგრამ ქმნის იმავე შეგრძნებას, იყოს როგორც არატრადიციული, ისე სტუმართმოყვარე“ (AD,2019/Apr:109).

ცნობილ და აღიარებულ სახელებს, რომლებიც აპროექტებენ კერძო ვილებს, მრავალი წელია თვალს ადევნებს Architectural Digest-ი. გასულ ათწლეულში ჟურნალმა გამოაქვეყნა ბევრი სტატია ამ თემაზე. **სტივენ ჰოლმა** შექმნა Wrinkled Planar Villa, რომელიც ნიუ-იორკის შტატის სამხრეთით მდებარეობს (სურ. 8), „კლდის მსგავსი ფორმებით, რომელიც შთაგონებულია მახლობელი მდინარის ყინულის ფორმებით და ტექსტურირებულია ბეტონის კედლებით“ (AD,2017/Dec:115).

პიტერ მარინოს ობიექტი (სურ. 9) „კლდოვანი მთების დრამატული აღნაგობის მქონე ფორმის, წაწვეტებული აივნით, ფრინველების მოძრაობებითაა შთაგონებული“ (AD,2016/Jan:184). მისივე კუნძულის სახლი ბისკეინის ყურეში შეიქმნა იმის დასამტკიცებლად, რომ „მარტივი და ძვირფასი არ არის ურთიერთსაწინააღმდეგო სიტყვები“ და რომ არქიტექტორი კიდევ ერთხელ ახდენს დემონსტრირებას „თავისი უნარისა შექმნას ფუფუნება ზედმეტობის გარეშე“ (AD,2019/Feb:80).



სურ. 7. ფრენკ გერი, საკუთარი სახლი
სანტა-მონიკაში



სურ. 8. სტივენ ჰოლი, კლდის მსგავსი ვილა



სურ. 9. პიტერ მარინო, ვილა



სურ. 10. მიდლუს ლეინის რეზიდენცია

Tod Williams Billie Tsien Architects წარსდგა ორი ნამუშევრით, მაგრამ მხოლოდ AIA-ს⁶ ჟურნალებში, რომლებიც ექსპერტთა შეხედულებებს ასახავენ. ჰავერფორდის კოლეჯის საერთო საცხოვრებლები კოლექტიური საცხოვრისია, „მოპირკეთებული ხელნაკეთი ჭრელი აგურით, რომელიც ემატება და ავსებს კამპუსის ქვის წყობას“ (O, 2017/Summer:33). მიდლუს ლეინის რეზიდენცია, საუტკემპტონი, ნიუ-იორკი (სურ. 10) შორი მანძილიდან მინის გრძელ კოლოფს წაგავს, მაგრამ უფრო ახლო ხედიდან ჩანს, რომ ქვედა სართულის წინა ფასადი

არც ისეთი მსუბუქი და გამჭვირვალეა, როგორც ზედაა (AR, 2019/Apr:76).

ჩვენდა გასაკვირად, ე.წ. „არიზონას სკოლა“, ამერიკელი არქიტექტორების, სავარაუდოდ, უმნიშვნელოვანესი რეგიონალური ჯგუფია, რომელიც რეგულარულად ავლენს მიზიდულობას უდაბნოს მიწების ესთეტიკასა და ხალხური საშუალებების გამოყენებისაკენ ცხელი კლიმატის და რთული ტოპოგრაფიის პირობებში, მდიდარი ლექსიკით, ეს დიდი ხანია იზიდავს ამ კვლევის ავტორთა ყურადღებას, მაგრამ ბოლო ათწლეულის რეცენზირებულ

⁶ AIA (American Institute of Architects) არქიტექტორების ამერიკული ინსტიტუტი. "Architect" არის AIA-ს ოფიციალური ორგანო, "Oculus" და "Chicago Architect" ქვეყნდება AIA-ს ნიუ იორკის და ჩიკაგოს ქარტიების მიერ, ხოლო "Architectural Record" AIA-ს უწყვეტი განათლების პროგრამის ნაწილია.

გამოცემებში ნაკლებად იყო წარმოდგენილი. ერთი ახსნა შეიძლება იყოს ის, რომ ოდესღაც ამბიციური ახალგაზრდა და ნიჭიერი ადამიანების ჯგუფი ამაჟამად გასცდა საკუთარი რეგიონის ნიშას და მნიშვნელოვნად უფრო მასშტაბურ ეროვნულ ან საერთაშორისო კორპორატიულ და საზოგადოებრივ პროექტებზე მუშაობს. ამასთანავე, მათი უალტერნატივო ლიდერი **უილ ბრუდერი** კვლავ იყო წარმოდგენილი Thrush House-ით ასპენში (სურ. 11), „დრამატული 5,829 კვ. ფუტის, კვიპაროსის shou sugi ban-ით მოპირკეთებული შენობით“ (A,2015/ Aug:119). ჟურნალმა მოიწონა „მისი მშვიდი არსებობა“ და „გრანტის კედლებისა და შიფერის სახურავების ფრთხილი გამოყენება“. სტატია კიდევ უფრო მეტად ემაღლიერება არქიტექტორის ისეთი „შენობების შექმნისთვის, რომლებიც ოსტატურად აბალანსებენ მოდერნისტულ ფორმალურ სიმკაცრეს ადგილის მგრძნობელობასთან... ისინი განსაცვიფრებელი და ამავე დროს წუნდაუდებელია თანამედროვე ფორმის, მდიდარი მასალებისა და ადგილობრივი ტრადიციების კომბინირებისათვის“ და აგრძელებს აღწერას, თუ როგორ იპოვა ავტორმა გამოსავალი ადგილობრივი შეზღუდვების ფონზე ტრადიციული არქიტექტურის სასარგებლოდ. **რიკ ჯოი** და მისი სტუდია (სურ. 11) ჩრდილო-აღმოსავლეთის ის-

ტორიულ სახლებში „ექებდნენ მინიშნებებს ყრუ კედლებსა და კრამიტის დახრილ სახურავებში, მაგრამ არ იყენებენ მათ უშუალოდ“ (AR,2019/ Apr:94). **ვენდელ ბერნეტი** იყენებს ვერნაკულარულს სახლი-დიალოგისთვის მშობლიურ არიზონაში: ორი მარტივი ტომის სადგომი, „რომელთაგან ერთი ფართო ჰორიზონტზე იყო დაგეგმილი, ხოლო მეორე – უდაბნოში და შთაგონებული ჯონ ვან დეიკის ფიქრებით უდაბნოს შუქის მირაჟის ფენომენების, განსაკუთრებით „ფერადი ჰაერის“ და „არეკვლილი შუქის“ შესახებ, თავის 1907 წლის წიგნში „უდაბნო-შემდგომი კვლევები ბუნებაში“ (D,2013/ Jun-Jul:92). აქ ხაზგასასმელია, რომ ინსპირაცია დღეს უკვე წარმოქმნის მეტაფორებს და არა პირდაპირ არქექტიპებს. ატმოსფეროს ძლიერი გამოყენება, ხით მოპირკეთება, shou sugi ban, ორქანობიანი წვეტიანი სახურავი, კაბინის მასშტაბი და მდგრადობა **მალბოუფ ბოუის** Palatin Passive House-ში, სიეტლში, ვაშინგტონის შტატი (სურ. 12), ცხადყოფს, რომ არქიტექტურის ნამდვილ მცოდნეს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ის სამუშაოს მხოლოდ მცირე ნაწილია: ესაა გაკვეთილი, რომ უამრავი იდეა შეიძლება მოთავსდეს შენობის პორტატულ მასშტაბში; მაგ., „საოცარ შედეგს იძლევა მოპირკეთების ახლებური გამოყენება“ (D,2016/Jul/Aug:78).



სურ. 11. რიკ ჯოი და მისი სტუდია



სურ. 12. მალბოუფ ბოუი

მთლიანობაში, ეკოლოგიურად სუფთა ვილების პრობლემების გადაჭრა, რომლებიც მჭიდრო კავშირშია გარემოსთან და იყენებენ მინას და ხეს, ქვეყნის მასშტაბით ათწლეულის მოთხოვნად იქცა: ეს შეიძლება იყოს კვლავ კალიფორნიაში (**Connect 5** სონო-მაში: სახლები ბამბუკით გამდიდრებული იატაკის საფარებით და ხელმეორედ რეციკლირებული მინის ზედაპირებით) (D,2014/Jun:100), ვისკონსინში (**რევე-ლეიშენის** ბეიფილდის ბუდე: სატყეო საოჯახო ქოხის ახალი სახე) (D,2015/Nov:44), ოჰაიოში (**მიდ-ლენდის** ბელმონტის ქოხი: შიგა მოედანი, რომელიც იხურება გადაჭიმული სახურავით და დაფარულია კედრის ფილებით) (A,2019/Dec:124), და ა.შ.

ჩანს, რომ აშშ-ის ვილების ახალ არქიტექტურას ჩამოუყალიბდა საკუთარი ხერხები და ნიშნები, რომლებიც ხშირად მეტად განსხვავებულ შედეგებში ვლინდება. სიეტლში დაფუძნებულ **ოლსონ კუნდიგს** შეიძლება ეწოდოს ამერიკელი არქიტექტორების იმ ახალი თაობის ლიდერი, რომელსაც დაუგროვდა კერძო სახლების უზადო დაპროექტების გამოცდილება. მათი ობიექტები ბოლო ათწლეულის პროფესიული ჟურნალების დიდ ნაწილს ამშვენებს. მათზე ქრონოლოგიურად დაკვირვების ცდა შეიძ-

ლება დავიწყოთ **ტომ კუნდიგის** Rolling Huts და Mazama-დან (D,2014/Apr:42).

უნიკალური და განსაცვიფრებელი ვილა სან-ხუანის კუნძულებზე (ვაშინგტონის შტატში) – „როგორც კარიერი, ასევე ნაგებობა“ (სურ. 13) – რომლისთვისაც ავტორებმა, საკუთარი სიტყვებით, „აიღეს ბუნებრივი ობიექტი – კლდე – და აქციეს იგი შენობად“ (D,2017/May-Jun:112); მეგ ჰოუმი ქალაქსა და ნავსადგურზე განუმეორებელი ხედებით (AR,2017/ Jun:114); უფროსი პარტნიორის **ჯიმ ოლსონის** სოფლის სახლის ურბანული ვერსია, ასევე სიეტლში (A,2018/Apr:68); მაქსონ ჰაუსი, ვაშინგტონში (სურ. 14), მშვიდი, აუღელვებელი, გრძელი და მართკუთხა ბლოკი, რომლის მიზანია მაქსიმალურად მოიცვას დასავლეთის მხრიდან გაშლილი ხედი ველზე – „შესანიშნავი ადგილი ჩუმი თავშესაფრისათვის, რომლის აღმოჩენასაც ყოველთვის ვცდილობთ სახლში და რომელიც გვიცავს“ (D,2018/Jul-Aug:92) – და სტოუმი, ვერმონტი, აგებული სახლი-კაბინა (სურ.15), ვერტიკალური მინის ყუთი ხის კონსოლური გადახურვით. (D,2019/Nov-Dec:46) – ეს ყველაფერი ამ ფირმის აქტივშია.



სურ. 13. ოლსონ კუნდიგი
ვილა სან-ხუანის კუნძულებზე



სურ. 14. ჯიმ ოლსონი
სოფლის სხლი



სურ. 15. სახლი-კაბინა
სტოუ, ვერმონტი

როგორც ჩანს, სიეტლში უპირატესობას ანიჭებენ კერძო აგარაკებს, რადგან ერთ-ერთმა წამყვანმა არქიტექტურულმა კომპანიამ, **ბოლინ ცივინსკი ჯექსონმა** (BCJ), იქ თავისი ფილიალი გახსნა. დასავლეთის სანაპიროების შტატებში მათ მიერ აშენებული მრავალი სახლია. მაგ., ვაშინგტონის შტატში ლაითბოქსი (სურ. 16) - დაბინდებისას გადაღებული სურათიდან ჩანს, თუ როგორ ანათებს იგი ტყის სიღრმეში, თან ხედებს ხსნის ჯორჯიის სრუტესა და სანუანის კუნძულებზე (AR,2015/Jan:76); ან კანადურ

უისტლერში, ბრიტანეთის კოლუმბიაში, ვილა ალტას ტბაზე, „სპირალური გეგმით, რომელშიც სათავსები სამ დონეზე ხვეულად ლაგდება შიგაეზოს გარშემო და ერთმანეთზე არაჩვეულებრივ ხედებს გვთავაზობენ“ (G,#29:93), ან ასპენში, კოლორადოს შტატში, რეზიდენცია დამოუკიდებლობის უღელტეხილზე, რომლის სახურავი (სურ. 17) ქვის კედლებისგან და კარ-ფანჯრების მთლიანი შემინვისგან შორ მანძილზეა ატყორცნილი და მთის ლანდშაფტთან სრულ შერწყმას უზრუნველყოფს.



სურ. 16. ბოლინ ცივინსკი ჯექსონი, ლაითბოქსი



სურ. 17. რეზიდენცია დამოუკიდებლობის უღელტეხილზე

მოდერნისტული ლექსიკის განსხვავებული ინტერპრეტაციების მთელი სერიაა წარმოდგენილი არქიტექტორ **იონსენ შმელინგის** შემოქმედებაში. ყოველთვის უშეცდომოდ გამოიცნობ მეიერის ან გერის ნახელავს. ოლსონ კუნდიგის ან BCJ-ს ნაკლებად გახმაურებული, მაგრამ მუდმივად განვითარებადი გამოხატულებების ნიშნებიც ახლა უკვე ცნობადი ხდება. ამ ფონზე იონსენ შმელინგი წინააღმდეგობრივ სახეს ქმნის. ვისკონსინის პრერიებში „კომპოზიტორის საგაზაფხულო სტუდიისთვის“ (სურ. 18) არქიტექტორები მოულოდნელად ირჩევენ „ციცაბო

ბორცვზე ამოჭრილ ბეტონის პოდიუმს, რათა შექმნან ფარდული, მართკუთხა მოცულობა, რომლის გრძელი მხარეები ატმოსფერული გავლენებისაგან დამცავი ფოლადითაა შემოსილი“ (A,2013/ May:30). ჰერმეტიული, მჭიდროდ დახურული რკინის დაქანგული კოლოფი, რომელიც მხოლოდ უკანა მხრიდან იხსნება, ერთგვარი სავარჯიშოა, რომელიც as found („როგორც ნაპოვნის“) ბრუტალისტურ ფილოსოფიას კარგად აკმაყოფილებს. მაგრამ შემდეგ პროექტში – ტოპოს ჰაუსი ცისფერ ყორღანებში (სურ. 19) – ფირმა განსხვავებულ ხერხს მიმართავს, ითვისებს რა

რბილი ბორცვებისა და ვიწრო ხევების ტერიტორიას. „სახლი არის დაბალი, ნაწილობრივ მიწაში ჩაფლული მოცულობა, საგულდაგულოდ დეტალიზებული სპილენძის სახურავით, რომელიც ზანტად იხსნება

ცისკენ“ (D,2015/May:164); ცხადია, რომ აქ ფორმა გვთავაზობს სრულიად განსხვავებულ ღია გეგმის სტრატეგიას, სადაც ლანდშაფტი შენობაში შედის და ხსნის ხედს გაშლილ ველზე (A,2016/ Aug:131).



სურ. 18. იონსენ შმელინგი, კომპოზიტორის საგაზაფხულო რეზიდენცია



სურ. 19. ტოპოს ჰაუსი ცისფერ ყორღანებში

დასკვნა

საზოგადოდ, მიწიდან ამოსული ყრუ ან, პირიქით, ხედებზე გახსნილი ბლოკები ბრტყელი, არაერთ შემთხვევაში, ქანობიანი გადახურვებით; მიმდებარე გამწვანებულ ლანდშაფტებში ჩაფლული ვილები; ენერგომდგრადობის პრობლემებზე ყურადღების გადატანა; მოდერნისტული ენის თანამიმდევრულად გამოყენება და, ამავე დროს, დაგეგმარების სტრატეგიების სიუხვე; ინტიმური ატმოსფეროს და გარემოსთან კომუნიკაციის შექმნის მეტნაკლებად წარმატებული მცდელობები – ეს ყველა-

ფერი ქმნის 2010–2020 წწ. ამერიკული ვილების მრავალფეროვან და არაერთგვაროვან სურათს, რაც მსხვილი ფორმების კომერციულ კორპორატიულ დაკვეთებსა და საზოგადოებრივ ნაგებობებში გადართვის პირობებში აყალიბებს, ჩვენი აზრით, მიმდინარე ამერიკული არქიტექტურის განვითარების ნანატრ ალტერნატივას. იმ კრიზისის ფონზე, რომელსაც ჩვენ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ვამჩნევდით აშშ-ის ხუროთმოძღვრებაში და ვაშუქებდით, ეს ტენდენცია იმედის მომცემია.

ლიტერატურა

1. Krampen, M. (1979). *Meaning in the Urban Environment*. London, England: Routledge.;
2. Frampton, K. (1992). *Modern Architecture: A Critical History*. London, England: Thames & Hudson.;
3. Collins, P. (2004). *Concrete: The Vision of a New Architecture, Second Edition*. Montreal, Canada: McGill-Queen's University Press.;

4. Strauven, F. (1998). *Aldo van Eyck: The Shape of Relativity*. Amsterdam, Netherlands: Architectura & Natura.
 5. *Michigan Lake House*. (2016). Desai Chia Architecture.
<https://www.desaichia.com/michigan-lake-house>
 6. *Projects: Ziger/Snead Architects*. (n.d.). <https://www.zigersnead.com/projects/details/slate-house/>
-

UDC 72

SCOPUS CODE 1213

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-3-38-54>

American Private Villas in the Last Decade: The Long-awaited Alternative?

Nikoloz Shavishvili

International Design School, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75,
M. Kostava str.

E-mail: n.shavishvili@gtu.ge

Tamar Chubinidze

Department of Architecture Basics and Theory, Georgian Technical University,
Georgia, 0160, Tbilisi, 68^a, M. Kostava str.

E-mail: chubinidzetam13@gmail.com

Reviewers:

G. Mikiashvili, Professor, International Design School, GTU

E-mail: g.mikiashvili@gtu.ge

M. Maisuradze, Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU

E-mail: marina_maisuradze@gmail.com

Abstract. Architectural projects of countryside and suburban private houses in the United States, mainly in its central regions today create a long-awaited alternative to the US commercial architecture, which is in a state of crisis due to corporate pressure on it. The projects published in 7 leading American specialized journals during 2011-2020 years were reviewed, many of which, according to the criteria chosen by the authors of the article, became notable for their growingly stimulating trends.

The authors of the article did not intend to make a complete classification of the collected materials, although they did offer some typological signs for grouping the studied villas. Almost every private house of the last decade is connected to the forest or mountain, waterfront or other natural environment – the trend that has overcome the early-modernist problem of alienation from the surroundings. At the same time, private villas of the studied decade even act complementary to their environment by staying connected to it yet acting autonomously. Both natural and

high-tech construction methods and materials, laconic and understated strategies typical for the current stage are frequently used, as well as we see now examples of satisfying the wishes of unpredictable customers and successful attempts to create a sustainable home with solutions appropriate to various natural climatic conditions. With all of this, the trends of the long-awaited alternative to the commercial architecture of cities seen in American private villas are becoming clearly evident.

Keywords: alternative; country villa; dynamism; heterogeneity; modernism; trend.

განხილვის თარიღი 26.04.2022

შემოსვლის თარიღი 03.05.2022

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.09.2022